GEA GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

NEWSLETTER

მაისი, ივისი 2017

- ბიზნეს გაერთიანებებმა შრომის უსაფრთხოების კანონპროექტი განიხილეს
- ტრენინგი - მცირე და საშუალო საწარმოების მართვა
- სპორტული მარკეტინგის საერთაშორისო კონფერენცია SPORTSWAY გაიმართა
- ტრენინგი - რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე
- ბიზნეს გაერთიანებების განცხადება კონსტიტუციის 94-ე მუხლის შესახებ
- დამსაქმებელთა ასოციაციაში სემინარები გაიმართა შრომის ინსპექტორებისთვის
- ტრენინგი - პირველადი დახმარების კურსი არასამედიცინო პერსონალისთვის
- ბიზნეს სექტორის შეხვედრა ფინანსთა სამინისტროსთან

საქართველო, თბილისი, #8 ბელიაშვილის ქ.
T: +995 32 2 14 73 73
M: +995 579 555 551
E: employer@employer.ge
www.employer.ge

ბიზნეს გაერთიანებემა შრომის უსაფრთხოების კანონპროექტი განიხილეს

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის (GEA) ორგანიზებით საქართველოში მოქმედმა ბიზნეს გაერთიანებებმა შრომის უსაფრთხოების კანონპროექტი სამუშაო რეჟიმში განიხილეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ექსპერტები და ხელმძღვანელი პირები შემდეგი ბიზნეს გაერთიანებებიდან: საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია(GEA), საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია, მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაცია (GSMEA), საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (BAG), ამერიკის სავაჭრო პალატა და მოძრაობა KAR.GE.

შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ფორმატის და მასშტაბის მქონე განხილვა უპრეცედენტოა და მიზნად ისახავს ბიზნეს სექტორისთვის მაქსიმალურად მისაღები საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაზე, რათა უმტკივნეულოდ გახორციელდეს ცვლილებები შრომის უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესების მიმართულებით.

სამუშაო რეჟიმში თითოეულმა ბიზნეს გაერთიანებამ წარმოადგინა საკუთარი ხედვა და არგუმენტირებული შენიშვნები კანონპროექტის შესახებ. აღნიშნული მოსაზრებები დამუშავდება და პარლამენტში კანონპროექტის დამტკიცების პროცესში მოხდება მათი ლობირება, რათა მაქსიმალურად აისახოს ბიზნესის ინტერესები შრომის უსაფრთხოების ახალ კანონში. შეხვედრა განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა, იმდენად თითოეულ ბიზნეს გაერთიანებას წინასწარ მომზადებული ჰქონდა საკუთარი შენიშვნები და ჯგუფში დისკუსიის შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი მოსაზრებები.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის განხილვა უახლოეს კვირებში დაიწყება პარლამენტში.

ტრენინგი - მცირე და საშუალო საწარმოების მართვა

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი მცირე და საშუალო საწარმოთა მართვის საკითხებში, რომელსაც უძღვებოდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ექსპერტი მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების საკითხებში ბ-ნი ალექსეი ვოლინეცი.

ტრენინგის დასარულს GEA-ს და IFC international Finance Corporation-ის სერტიფიკატები.

სპორტული მარკეტინგის საერთაშორისო კონფერენცია SPORTSWAY გაიმართა

20 მაისს ბიზნეს გაერთიანება GEA-ს საკონფერენციო დარბაზში სპორტული მარკეტინგის საერთაშორისო კონფერენცია Sportsway გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები იღებდნენ.

კონფერენციაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორებიცაა:

• სპორტული მარკეტინგი;

• სპორტული ტურიზმის განვითარება საქართველოში;

• სპორტული მენეჯმენტი;

• ბრენდირებული სპორტული

ტურნირების ორგანიზება და განვითარება ქვეყანაში.

კონფერენციის პარტნიორები:

• ბიზნეს გაერთიანება GEA

• საქართველოს კორპორატიული სპორტის ფედერაცია

• თბილისის მერია

• საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

• საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მოწვეული სპიკერები

- ევგენი კოვალი – No Limits Productions – გენერალური დირექტორი
- ვლადიმერ ვოლოშინი – Newman Sport–ისა და Business Consulting–ის მმართველი პარტნიორი, Ironstar–ისა და Rosa Run–ის დამფუძნებელი
- ალექსეი კილასოვ – რუსეთის ეთნოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი
- ანა ჟუკოვა – Chief editor GR sport
- ელენა მაკაროვა - სპორტის დამსახურებული ოსტატი
- ნიკოლოზ ჯინჯიხაძე - კომპანია ჰაიდელბერგ ცემენტის მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელი

ტრენინგი - რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს და შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების აკადემიის (OSH Academy) ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხებში. კერძოდ, თემაზე - „რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე“. აღნიშნული სატრენინგო პროგრამა მომზადებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლის ძირითადი პრინციპებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა შრომის ინსპექცია.

სატრენინგო პროგრამის მიზანია, საწარმოში/ორგანიზაციაში სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების გამოვლენის, რისკების განსაზღვრის/შეფასების, მათი შემცირების, ან აღმოფხვრის მეთოდებისა და სისტემური მიდგომების შესწავლა. პროგრამა პრაქტიკული გამოყენებისაა და ასეთი სისტემის დანერგვა ნებისმიერ კომპანიას შეუძლია. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების პირობებისთანამედროვე სტანდარტების და მიდგომების დანერგვა, საშუალებას იძლევა არა მხოლოდ პერსონალის უსაფრთხოების გარანტიებს, არამედ ხელს უწყობს კომპანიის შემოსავლების ზრდას.

ტრენინგს უძღვებოდა ასოციაციის შრომის უსაფრთხოების ცენტრის ILO–ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-სა და ITC-ს სერტიფიკატები.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აქტიურადაა ჩართული წევრი კომპანიების სამუშაო გარემოსა და პროცესების ევრო დირექტივების შესაბამისად მორგებაზე, რათა მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდნენ შრომის ინსპექტირების შემოწმებას. ამ მიზნით, ასოაციაცია კომპანიებს სთავაზობს:

• შრომის უსაფრთხოების მენეჯერების გადამზადებას;

• საკონსულტაციო მომსახურებას;

• სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების გამოვლენისა და რისკის შეფასების თემატიკაზე პრაქტიკულ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე;

• შრომის ინსპექციის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაში მხარდაჭერას.

ამდენად, ბიზნეს გაერთიანება GEA და OSH Academy კომპანიების დახმარების მიზნით სისტემატურად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.

ბიზნეს გაერთიანებების განცხადება კონსტიტუციის 94-ე მუხლის შესახებ

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების პროცესში ჯერ კიდევ განიხილება შესაძლებლობა, რომ გაუქმდეს კონსტიტუციის 94-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ახალი გადასახადის შემოღება ან გადასახადის განაკვეთის გაზრდა დასაშვებია მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

ჩვენ, წამყვანი ბიზნესგაერთიანებები, მივიჩნევთ, რომ კონსტიტუციის 94-ე მუხლის არსებული ფორმით შენარჩუნება აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარებისთვის, სტაბილური ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შენარჩუნებისათვის.

გამომდინარე საკითხის უდიდესი მნიშვნელობიდან, ჩავთვალეთ საჭიროდ, საზოგადოებას კიდევ ერთხელ განვუმარტოთ ამ ჩანაწერის შენარჩუნების აუცილებლობა, რადგან:

1. მნიშვნელოვანია საქართველოში უნიკალურად მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შენარჩუნება და განმტკიცება. აღნიშნული ჩანაწერი საკონსტიტუციო დონეზე უზრუნველყოფს ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობასა და განჭვრეტადობას, რითაც მიმზიდველს ხდის საქართველოს უცხოური ინვესტიციებისთვის, ასევე, ხელს უწყობს ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას. მისი შენარჩუნება უკიდურესად მნიშვნელოვანია საქართველოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა დიდწილად განპირობებულია უცხოური ინვესტიციებითა და ადგილობრივი მეწარმეების საინვესტიციო აქტივობით.

ინვესტორს აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს ინვესტიცია რეგიონის თუ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და, ამ მხრივ, კონკურენცია ქვეყნებს შორის მუდმივად იზრდება. ინვესტიციების მოსაზიდად საქართველო ინვესტორს უნდა სთავაზობდეს უნიკალურ, სტაბილურ საინვესტიციო და ბიზნესგარემოს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში არ არის ნათელი, რა კონკურენტული უპირატესობა გააჩნია საქართველოს სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, რეგიონთან შედარებით.

ამ ჩანაწერის გაუქმება საგრძნობლად გააუარესებს საქართველოს კონკურენტუნარიანობას საინვესტიციო მიმზიდველობის კუთხით და შეამცირებს ინვესტიციების შემოდინებას, რაც ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე და შეაფერხებს ქვეყნის განვითარებას.

ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს აღნიშნული საკონსტიტუციო ჩანაწერი და მის შესაბამისად მიღებული ორგანული კანონი - „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“.

2. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თავად გადაწყვიტონ გაიზარდოს, თუ არა მათი გადასახადები.

მოქალაქეების უფლება, რეფერენდუმის გზით გადაწყვიტონ გადასახადების გაზრდის საკითხი, უშუალოდაა დაკავშირებული მათ უფლებასთან - განკარგონ საკუთარი შრომის შედეგად მიღებული შემოსავლები და ეს განახორციელონ პირდაპირი დემოკრატიის ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დარწმუნებულნი ვართ, რომ ქვეყნის ძირითადი კანონიდან ამ მნიშვნელოვანი გარანტიის გაქრობა გააჩენს არასტაბილურობის განცდას და გადასახადების ზრდის მოლოდინს, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის ,მოქალაქეების და ბიზნესსექტორისათვის თანაბრად დამაზიანებელი იქნება.

ჩვენ დღეს აქ შევიკრიბეთ, რათა მივმართოთ და ვთხოვოთ ყველას, ვინც ჩართულია ან შეიძლება ჩაერთოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში - შევინარჩუნოთ ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტი - საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლი.

ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში
დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაცია
ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია
საქართველოს ბანკების ასოციაცია
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო
საქართველოს გადასახადის გადამხდელთა კავშირი
საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

დამსაქმებელთა ასოციაციაში სემინარები გაიმართა შრომის ინსპექტორებისთვის

12-13 ივნისს „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებით და ევროკავშირის მხარდაჭერით შრომის ინსპექტორებისთვის გაიმართა სემინარი შრომის ინსპექციის პოლიტიკის დაგეგმარების საკითხებზე.

სემინარს, რომელზეც მისასალმებელი გამოსვლებით წარდგნენ ILO-ს უფროსი ტექნიკური მრჩეველი ჟოლტ დუდაში და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, უძღვებოდა შრომის ადმინისტრაციის, შრომის ინსპექციისა და სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტი (ILO) ვალენტინ მოკანუ.

შრომის ინსპექტორებმა სემინარზე მოისმინეს შემდეგი თემები:

• შრომის ინსპექციის პოლიტიკის შემუშავება (ზოგადი პოლიტიკის კონტექსტი; ეფექტური ინსპექციის ზოგიერთი პრინციპი);

• „სანქციების“ და „რეგულაციების შესრულების“ მიდგომები’

• ინფორმაციის მიწოდება და რჩევების მიცემა;

• პროაქტიური (პრევენციული) ინსპექცია

• რეაქტიული ინსპექცია - უბედური შემთხვევები, ავადმყოფობა და საჩივრები

• ინსპექტირების სიხშირე და პრიორიტეტები

• ინსპექტირების თანმიმდევრულობა და დისკრეციული უფლებები

• ოპერაციული დაგეგმარება - მისი მნიშვნელობა და ინდივიდუალური სამუშაო პროგრამები;

• შრომის ინსპექციის საქმიანობის კონტროლი და ანგარიში.

სწავლების პროცესი დატვირთული იყო დისკუსიებითა და სავარჯიშოებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს შრომის ინსპექციასთან მისი ხელახლა ჩამოყალიბების დროიდან (2015 წელი).

ტრენინგი - პირველადი დახმარების კურსი არასამედიცინო პერსონალისთვის

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს ორგანიზებით 17 ივნისს გაიმართება ტრენინგი თემაზე:„პირველი დახმარების კურსი არასამედიცინო პერსონალისთვის“.

კურსის მიზანს წარმოადგენდა არასამედიცინო პერსონალისათვის ექიმამდელი პირველი დახმარების სწრაფად და სწორად გაწევის სწავლება თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, პირველადი დახმარების პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა.

კურსი შეიქმნა არასამედიცინო პერსონალისათვის დაზარალებულთა პირველადი გადაუდებელი დახმარების შესასწავლად.

მსმენელები გაეცნენ პირველადი გადაუდებელი დახმარების რაობასა და მიზნებს. შეისწავლეს პირველი დახმარების გაწევა ტრავმის, სისხლდენის, ინტოქსიკაციის, გულისწასვლის, მოხრჩობის დროს. ასევე გულ-ფილტვის რეანიმაციას მოზრდილებში და ბავშვებში.

კურსი რომელიც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს მოიცავდა, აგებულიაი იყო თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე.

მსმენელები პრაქტიკულად დაეუფლნენ პირველი გადაუდებელი დახმარების გაწევის ტექნიკას მულტიფუნქციური მანეკენებისა და სიმულატორების გამოყენებით.

ბიზნეს სექტორის შეხვედრა ფინანსთა სამინისტროსთან

23 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილმა და შემოსავლების სამსახურის ხელმძვანელმა პირებმა გამართეს შეხვედრა, რომელსაც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიები ესწრებოდნენ.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ბიზნეს სექტორის ინფორმირებას ახალი კანონმდებლობის შესახებ, რომელიც გულისხმობს, რომ 2017 წლის 1 ივლისიდან მეწარმე ვალდებულია საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციისას და მომსახურების გაწევისას რეკლამირების, ან შეთავაზების შემთხვევაში, ფასი მიუთითოს ლარით.

ამასთან, ლარით სავალდებულო ფასდადების მოთხოვნა მხოლოდ მეწარმე სუბიექტებს შეეხება და ამ წესის დარღვევაზე, ადმინისტრირებას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური განახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია სამთავრობო სტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში მუდმივად სთავაზობს წევრ კომპანიებს, რომ მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის შეხვედრებში.

ტრენინგი - სახანძრო უსაფრთხოება და ხანძართან ბრძოლა

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა“ (GEA) და შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების აკადემიის (OSH Academy) ორგანიზებით 28 ივნისს გაიმართა ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებში, კერძოდ, თემაზე „სახანძრო უსაფრთხოება და ხანძართან ბრძოლა“.

ტრენინგს უძღვებოდა ასოციაციის შრომის უსაფრთხოების ცენტრის ILO–ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა კომპანიებისათვის საწარმოებში არსებული სახანძრო საფრთხეების გამოვლენის მეთოდების შესწავლა, ასევე სახანძრო უსაფრთხოების იმ აუცილებელი ინსტრუქციებისა და პროცედურების შესწავლა, რომელიც უნდა ჰქონდეს შემუშავებული ნებისმიერ კომპანიას, მიუხდავად მისი სიდიდისა.

ასეთი სისტემის გამოყენება საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ის რისკები და საფრთხეები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ხანძრის შედეგებმა. სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დანერგვისა და სწავლების მიზანია უზრუნველყოს დასაქმებულთა ჯანმრთელობის და კომპანიის ქონების დაცვა.

ტრენინგის შემდეგ მონაწილეებმა უნდა შეძლონ სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დანერგვა და საევაკუაციო სქემების შემუშავება.

ტრენინგს ესწრებოდნენ საწარმოების/ორგანიზაციების ტექნიკური მენეჯერები და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

ტრენინგის თემატიკა განსაკუთრებით აქტუალურია 2015 წლის 2 მარტს საქართველოს მთავრობის #81 დადგენილების საფუძველზე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შექმნის შემდეგ, რომლის მიზანია ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების არსებული პირობების ინსპექტირება.

ბიზნეს გაერთიანება GEA და OSH Academy წევრ და პარტნიორ კომპანიებს სისტემატურად სთავაზობენ კადრების გადამზადებას იმ რეგულაციების შესაბამისად, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ადგენს ევროდირექტივების საფუძველზე.

GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

საქართვისლო, თბილისი, #8 ბელიაშვილის ქ.
T: +995 32 2 14 73 73
M: +995 579 555 551
E: employer@employer.ge
www.employer.ge